გიორგი ახალაია

ალკალას უნივერსიტეტი, ესპანეთი

ერაზმუს+ აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის აფილირებული პროფესორი, გიორგი ახალაია, იმყოფებოდა ალკალას უნივერსიტეტში, ესპანეთში. ვიზიტის ფარგლებში ლექტორს მასპინძლობდა ალკალას უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებებისა და ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი დანიელ როდრიგესი.

პროგრამის ფარგლებში ლექტორისთვის დაიგეგმა კიბერუსაფრთხოების ლექციები და შეხვედრები პროფესორის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან. ძირითადი მიმართულება წარმოადგენდა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული საფრთხეების მიმოხილვასა და მათი გადაჭრის არსებული გზების ანალიზს.

ლექციებისა და აკადემიური აქტივობების გარდა დაიგეგმა შეხვედრები დეპარტამენტის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების სხვადასხვა აკადემიურ პერსონალთან, სადაც პროფესორი გაეცნო ალკალას უნივერსიტეტის პროგრამებს, უნივერსიტეტის სტრუქტურასა და მიმდინარე აქტივობებს. ასევე, შეხვედრებზე განხილულ იქნა სამომავლო ერთობლივი კვლევის თემატიკა, რომელიც ეხებოდა მანქანური სწავლებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებულ საერთო გამოწვევებსა და პრობლემებს, ასევე საფრთხეებსა და პერსპექტივებს.